



## საქართველო

### თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

#### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 23

19/02/2018

#### თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ღვანკითში, ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში მდებარე 8 მ<sup>2</sup> არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით ერთი წლის ვადით გადასცეს მოქალაქე დალი ჩხეიძეს (პ/ნ 21001028166).

**მუხლი 2.** 1 (ერთი) წლის ქირავნობის გადასახადი განისაზღვროს 120 (ასოცი ლარი და 00 თეთრი) ლარით.

**მუხლი 3.** განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 5.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7 ) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო